შედგა უმე-ს (უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია) საქმეთა მმართველის შეხვედრა ლიბანის მთების მიტროპოლიტ სილუანესთან

2021 წლის 17 ივნისს, ანტიოქიის მართლმადიდებელი ეკლესიის საზღვრებში უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა მმართველის, ბორისპოლისა და ბროვარსკის მიტროპოლიტ ანტონის ოფიციალური ვიზიტის ბოლო დღეს შედგა მისი შეხვედრა ლიბანის მთების მიტროპოლიტ სილუანესთან.

საუბრის მსვლელობისას, რომელიც ბრუმანში ლიბანის მთების მიტროპოლიტის სამუშაო რეზიდენციაში გაიმართა, მიტროპოლიტი ანტონი მიესალმა მეუფე სილუანს კიევისა და სრულიად უკრაინის უნეტარესი მიტროპოლიტის ონუფრის სახელით და მოუთხრო უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის დღევანდელობის შესახებ.

შეხვედრის მონაწილეებმა ღია და ძმური ურთიერთობის ატმოსფეროში განიხილეს ეკლესიათაშორისი ურთიერთობის დღის წესრიგში შემავალი საკითხების ფართო სპექტრი, ასევე, ის გამოწვევები, რომლებიც ამჟამდ მსოფლიო მართლმადიდებლობის წინაშე დგას.

მიტროპოლიტმა სილუანემ აღნიშნა კიევისა და სრულიად უკრაინის უნეტარესი მიტროპოლიტის ონუფრის მსახურების პასუხისმგებლობა, მისი სიმშვიდე და სიმტკიცე მართლმადიდებლობის კანონიკური სიწმინდის დაცვის საქმეში.

შეხვედრაში მონაწილოება მიიღეს უკრაინის მართლმადიდებლი ეკლესიის საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარის მოადგილემ დეკანოზმა ნიკოლოზ დანილევიჩმა, ბეირუთში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეტოქის წინამძღვარმა არქიმანდიტმა ფილიპემ (ვასილცევი) და ლიბანის მთების სამიტროპოლიტოს პროტოსინგელმა არქიმანდრიტმა ანტონიმ (ბიტარი).

იმავე დღეს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაცია კიევში გაფრინდა.

სსკგ კომუნიკაციების სამსახური

მასალა მომზადებულია ბეირუთში
რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის
მეტოქის საიტის ინფორმაციის მიხედვით

გაზიარება:

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87471/